ბ–ნ ი. მახარაძეს

გასაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

ვ. აბაშიძე
25.02.2016

:e@gncc.ge]
:04 PM

იორიტეტები - განახლებული
იტეტები, 22 თებერვალი, 2016 (Revised).doc

From: Iago Kachkachishvili [mailto:iagok@yahoo.com]
Sent: Monday, February 22, 2016 2:01 PM
To: Ivane Makharadze; Ivane Makharadze
Subject: რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები - განახლებული

ბ-ნო ივანე მოგესალმებით,

გიგზავნით სხვადასხვა ტიპის რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების გადანაწილების რევიზირებულ ვარიანტს, იმ შეთანხმების თანახმად, რასაც კომისიაში შეხვედრისას მივაღწიეთ.

პატივისცემით, იაგო

Prof. Dr. Iago Kachkachishvili
Head of the Department of Sociology and Social Work at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Georgia
Head of the research NGO "Institute of Social Studies and Analysis" (ISSA)
Phone: +(995 32) 2250819 (TSU office)
+(995 32) 2959061 (ISSA office)
+(995 99) 566355 (mobile)
E-mail: iagok@yahoo.com

__________ Information from ESET NOD32 Antivirus, version of virus signature database 13065 (20160222) __________

The message was checked by ESET NOD32 Antivirus.

http://www.eset.com

__________ Information from ESET NOD32 Antivirus, version of virus signature database 13065 (20160222) __________

The message was checked by ESET NOD32 Antivirus.

http://www.eset.com

__________ Information from ESET NOD32 Antivirus, version of virus signature database 13066 (20160222) __________

The message was checked by ESET NOD32 Antivirus.

შემოსვლის №ჭ-6/1910-16
25.02.2016
1+4 ფურცელი

საერთო, სპეციალიზირებული და სათემო რადიომაუწყებლობის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება

1. მონაცემები მთელი შერჩევისთვის (მოსახლეობისთვის)

კვლევის მიხედვით განისაზღვრა, თუ რა ტიპის მაუწყებლობას ანიჭებენ უპირატესობას რადიომსმენელები საქართველოში. მონაცემები საერთო, სპეციალიზირებული და სათემო მაუწყებლობისთვის დაითვალა იმ ცვლადების მიხედვით, რომლებიც ზომავდნენ ინტერესს რადიო არხებში თემატური და ინფორმაციული მრავალფეროვნების მიმართ(საერთო მაუწყებლობა), ინტერესს ისეთი რადიოებისადმი, რომლებიც ძირითად ან მთლიან დროს ერთ თემატიკას ან სფეროს დაუთმობდნენ(სპეციალიზირებული რადიომაუწყებლობა) და ინტერესები ისეთი რადიოების მიმართ, რომლებიც მთლიანად იმ სოციალურ ან პროფესიულ ჯგუფებზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი, რომლებსაც გამოკითხულებმა თავი მიაკუთვნეს(სათემო რადიომაუწყებლობა).

საერთო მაუწყებლობისთვის მონაცემები განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ რადიო არხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სპეციფიკებიდან ვინ მიანიჭა უპირატესობა შემდეგ დებულებებს:

- „უნდა ჰქონდეთ მრავალფეროვანი რადიო ეთერი“ (შეკითხვა #9.4);
- „უნდა ჰქონდეთ ინფორმაციულად დატვირთული და შემეცნებითი (შეკითხვა #9.10).

სპეციალიზირებული მაუწყებლობის მონაცემები განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ ვინ მიანიჭა უპირატესობა შემდეგ დებულებებს:

- „უნდა აშუქებდნენ მხოლოდ იმ თემატიკას (სპორტი, ეკონომიკა, მუსიკის რომელიმე მიმართულება და ა.შ.), რომელიც მე მაინტერესებს“ (შეკითხვა #9.6);
- „მე მირჩევნია მოვუსმინო ისეთ რადიოს, რომელიც ერთ, ჩემთვის საინტერესო სფეროში გააკეთებს გადაცემებს.“ (შეკითხვა #19.5).

რაც შეეხება **სათემო რადიომაუწყებლობას,** მისი მონაცემები განისაზღვრა იმის მიხედვით, უჭერდნენ თუ არა მხარს რესპონდენტები, რომლებმაც თავი სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფს მიაკუთვნეს, თავიანთი სოციალური/პროფესიული ჯგუფის ინტერესების გამომხატველი რადიომაუწყებლობის არსებობას. უფრო კონკრეტულად, სათემო რადიოსადმი მიმღებლობა განისაზღვრა შემდეგ ორ შეკითხვაზე რესპონდენტთა პოზიტიური პასუხებიდან გამომდინარე:

- „დაუჭერდით თუ არა მხარს ისეთი რადიოს შექმნას, რომელიც იმაუწყებლებდა იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ და გააშუქებდა თქვენი სოციალური ჯგუფის/თემის საკითხებს?“ (შეკითხვა #28);

- „დაუჭერდით თუ არა მხარს ისეთი რადიოს შექმნას, რომელიც იმაუწყებლებდა იქ, სადაც თქვენ მუშაობთ და გააშუქებდა თქვენი პროფესიული ჯგუფის/თემის საკითხებს?“ (შეკითხვა # 29).

საერთო, სპეციალიზებული და სათემო რადიომაუწყებლობის მიმართ მოსახლეობის პრიორიტეტები გადანაწილდა შემდეგნაირად (იხ. დიაგრამა #1):

დიაგრამა #1: საერთო, სპეციალიზებული და სათემო რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები მოსახლეობაში



შენიშვნა: დიაგრამაზე გამოსახული მაჩვენებლები სხვადასხვა კითხვაზე მიღებული პასუხების მონაცემებია, აქედან გამომდინარე, მათი ჯამი არ ემთხვევა 100%-ს.

მაშასადამე, საერთო მონაცემების მიხედვით, საქართველოში რადიომსმენელთა 38.3% საერთო რადიომაუწყებლობას ანიჭებს უპირატესობას, 36.4% - სათემოს, ხოლო 25.5% - სპეციალიზირებულს.

2. საერთო, სპეციალიზირებული და სათემო რადიომაუწყებლობის მიმართ დამოკიდებულება ზონების მიხედვით

ყველაზე მაღალი ინტერესი საერთო რადიომაუწყებლობისადმი არის ზონა 256-ში (51.2%), ყველაზე დაბალი - ზონა 258-ში - 28.2%.

ყველაზე მაღალი ინტერესი სპეციალიზირებული რადიომაუწყებლობისადმი ფიქსირდება ზონა 258-ში - 31%, ხოლო ყველაზე დაბალი - ზონა 257-ში - 12%.

ყველაზე მაღალი ინტერესი სათემო რადიოსადმი გამოვლინდა ზონა 257-ში - 57%, ხოლო ყველაზე მცირე ეს მაჩვენებელი იყო ზონა 252-ში - 25%.

საერთო, სპეციალიზირებულ და სათემო რადიომაუწყებლობებს შორის მთლიან შერჩევაში ასახული რიგითობა (პირველი პრიორიტეტი: საერთო; მე 2 - სათემო; მე-3 - სპეციალიზირებული), ზონების მიხედვით, მეორდება 250, 253, 256 ზონებში:

- 250 ზონაში გამოკითხულთა ზუსტად ნახევარი ავლენს საერთო რადიომაუწყებლობისადმი ინტერესს, თითქმის მესამედი სათემოსადმი, ხოლო მცირე ნაწილი (16.7%) - სპეციალიზირებულისადმი.
- ზონა 253-ში მონაცემებს შორის სხვაობა შედარებით მცირეა - საერთო რადიოსადმი ინტერესი 4.4%-ით აღემატება სათემო მაუწყებლობისადმი ინტერესს, ხოლო სათემო მაუწყებლობა თავის მხრივ, 5% აღემატება სპეციალიზირებული მაუწყებლობისადმი ინტერესს.
- რაც შეეხება ზონა 256-ს, აქ საერთო მაუწყებლობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მაუწყებლობის სხვა ტიპების - გამოკითხულთა ნახევარზე მეტი(51.2%) საერთო რადიომაუწყებლობითაა დაინტერესებული, ხოლო სათემო და სპეციალიზირებული რადიომაუწყებლობისადმი ინტერესი თითქმის თანაბარია(29% და 28% შესაბამისად).

რაც შეეხება დანარჩენ ზონებს, სადაც მაუწყებლობის ტიპების პრიორიტეტულობა არ ემთხვევა საერთო მონაცემებს (ეს ზონებია 252, 255, 257, 258, 259, 261), აქ მონაცემები ორ ჯგუფად იყოფა - ზონა 252-სა და ზონა 255-ში სპეციალიზირებული რადიომაუწყებლობისადმი ინტერესი უფრო მაღალია, ვიდრე სათემოსადმი (ხოლო საერთო მაუწყებლობა რჩება ყველაზე პრიორიტეტულად), ხოლო ზონა 257-ში, 258-ში, 259-სა და 261-ში ყველაზე პრიორიტეტული სათემო მაუწყებლობაა.

ზონა 252-ში საერთო მაუწყებლობისადმი ინტერესი 16.2%-ით მაღალია სპეციალიზირებული მაუწყებლობის, ხოლო 21.2%-ით - სათემო მაუწყებლობის მიმართ ინტერესზე..

ზონა 255-ში საერთო მაუწყებლობის მონაცემები 9.1%-ით აღემატება სპეციალიზირებული მაუწყებლობისას, ხოლო 9.8%-ით - სათემოსას.

როგორც უკვე აღინიშნა, ზონა 257-ში სათემო რადიოს მონაცემები ყველაზე მაღალია - 57%, პრიორიტეტულობაში მას მოსდევს საერთო მაუწყებლობა - 31.2%, ხოლო სპეციალიზირებულის მაჩვენებელი, სხვა ზონებთან შედარებით, ყველაზე მცირეა - 12%.

ზონა 259-სა და ზონა 261-ში პრიორიტეტები იმავენაირადაა გადანაწილებული, როგორც ზონა 257-ში (ზონა 259-ში სათემო მაუწყებლობა - 35.8%, საერთო მაუწყებლობა - 29.4%, სპეციალიზირებული მაუწყებლობა - 25.2%; ზონა 261-ში სათემო მაუწყებლობა - 46.4%, საერთო მაუწყებლობა - 32.2%, სპეციალიზირებული მაუწყებლობა - 25.6%).

რაც შეეხება ზონა 258-ს, მისი მონაცემების მიხედვით მიღებული რიგითობა ყველასგან განსხვავებულია. აქ პირველ ადგილზე, ინტერესების მიხედვით, დგას სათემო მაუწყებლობა - 50%, მეორეზე - სპეციალიზირებული (31%), ხოლო საერთო მაუწყებლობისადმი ყველაზე დაბალი ინტერესი ვლინდება (28.2%).

დეტალურად, სამაუწყებლო ზონების მიხედვით, მაჩვენებლები მოცემულია **დიაგრამაზე #2:**

დიაგრამა #2: საერთო, სპეციალიზებული და სათემო რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები სამაუწყებლო ზონების მიხედვით



შენიშვნა: დიაგრამაზე გამოსახული მაჩვენებლები სხვადასხვა კითხვაზე მიღებული პასუხების მონაცემებია, აქედან გამომდინარე, მათი ჯამი არ ემთხვევა 100%-ს.